PDF Eraser Free

დანართი №2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - კოლეჯი "ოპიზარი" (ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ#111)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ანა უგულავა

წევრი: თეა ხარაზიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - კოლეჯი "ოპიზარი"

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 30 დეკემბრის № 1440118 ბრძანებით (ცვლილება ბრძანებაში 31715, 17.01.22) შექმნილ ექსპერტთა ჯგუფმა მიმდინარე წლის 2 თებერვალს განახორციელა ვიზიტი ქ. ახალციხეში სსიპ კოლეჯ „ოპიზარში“ (შემდგომში კოლეჯი) „ფრჩხილის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა დღის განრიგი, რომელიც გადაეგზავნა კოლეჯს და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი (იხ. ვიზიტის განრიგი, დანართი N1).

ცენტრის დირექტორის ზემოხსენებული ბრძანების შესაბამისად განისაზღვრა დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტი. ბრძანების შესაბამისად ცენტრის წარმომადგენელი და წარმოებაში მონაწილე დარგის ექსპერტი გაემგზავრნენ ქალაქ ახალციხეში, ხოლო რაც შეეხება ჯგუფის თავმჯდომარეს, მას ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე დაუდასტურდა კორონავირუსი (COVID 19). აღნიშნულიდან გამომდინარე იგი მოკლებული იყო შესაძლებლობას ვიზიტი განეხორციელებინა ადგილზე, სწორედ ამიტომ მასსა და დაწესებულების წარმომადგენლებს შორის შედგა დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ zoom პლატფორმის გამოყენებით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან ერთად განიხილეს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. გაესაუბრნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ მოდულების განმახორციელებელ პირს, რომელიც ამავდროულად გახლავთ პროგრამის ხელმძღვანელი და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს და განიხილეს პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან და განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე ექსპერტების მიერ შემოწმდა კოლეჯის მატერიალური ბაზა, საგანმანათლებლო პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

მატერიალური რესურსი, ბიბლიოთეკაში არსებული პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი წიგნადი ფონდი, შემოწმდა პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულება და განხორციელდა მათთან გასაუბრება პლატფორმა zoom-ის მეშვეობით.

ვიზიტის დასასრულს ექსპერტების მიერ მოხდა მიგნებების გაცნობა კოლეჯის წარმომადგენლებისთვის. ექსპერტთა შეფასებით ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ გარემოში

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

არ დაფიქსირებულა.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

არ დაფიქსირებულა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია - არ გაცემულა.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

ექსპერტთა მიერ დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა ინდიკატორის ფარგლებში გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.1.1.1

სასურველია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ მიეთითოს პროგრამის შემუშავების, დარგობრივი კათედრის სხდომაზე წარდგენის, პროგრამაში ცვლილების შეტანისათვის და ა.შ საჭირო კონკრეტული ვადა.

2.1.1.3

სასურველია, პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მიეთითოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, ობიექტის გამტარუნარიანობის გათვალიწინებით.

2.1.1.8

სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომების შექმნა, დამტკიცება და პრაქტიკის განმახორციელებელი პირებისათვის გაცნობა.

2.2.1.2

სასურველია, ცალკე დოკუმენტის სახით შეიქმნას მასწავლებელთა დატვირთვის დამადასტურებელი ცხრილი/ბადე და ასევე კოლეჯმა დაიმატოს კონცენტრაციის მოდულების (თეორიული მოდულები) განმახორციელებელი ერთი მასწავლებელი მაინც.

2.3.1.1

სასურველია, კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწა, დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება.

2.4.1.6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სასურველია, კოლეჯმა უზრუნველყოფს საჭირო ნორმების თავმოყრა ერთ დოკუმენტში, ასევე მისი ადაპტირება კანონის ენიდან კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის მეტად აღსაქმელ ენაზე და მისი დამტკიცება კოლეჯში მოქმედი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

2.4.2.2

სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად არეგულირებდეს ვერიფიკაციის ისეთ ძირითადი ეტაპებს, როგორებიცაა: ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა, განხილვის ორგანიზება, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმება და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა. ასევე გაიწეროს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები.

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ფრჩხილის მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1012
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	დამტკიცდა - სსიპ კოლეჯის “ოპიზარი“ დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბრის #124 ბრძანებით, ცვლილება შევიდა - სსიპ კოლეჯის “ოპიზარი“ დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის #6 ბრძანებით,
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“ ქ. ახალციხე რუსთაველის ქ.#111
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	24 სტუდენტი
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	–
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	–
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ მიერ ცენტრში წარმოდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც პროგრამის დამატების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება, რომელიც განხილული და მიღებულია კოლეჯის დარგობრივი კათედრის სხდომაზე, გამომდინარეობს განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებიდან, მჭიდრო კავშირშია კოლეჯის მისიასთან და ეფუძნება კოლეჯის მიერ განხორციელებულ ბაზრის მოთხოვნის შესწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ კოლეჯი “ოპიზარი“ 2014 წლიდან ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო ავტორიზებულ პროგრამას ,,თმის მომსახურება“. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დღემდე პროგრამა წარმატებით ხორციელდება, რადგან სასწავლებელში არის სპეციალური კლასკაბინეტი და ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ამავდროულად, მათივე თქმით, თმის სტილისტის პოზიციასთან ერთად გამოიკვეთა დაინტერესება ფრჩხილის მომსახურების სპეციალისტის პოზიციაზეც. შესაბამისად, ხსენებული პროგრამის დამატებით დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში. ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის ქალაქებში მოსახლეობას ემსახურება მრავალი სალონი, თუმცა სოფლებში სალონები ყველგან არ არის, ამდენად მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდან სალონების გახსნაზე დიდია, რაც დასაქმების რეალური შანსია კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის. კოლეჯი ადასტურებს, რომ მუნიციპალიტეტში არიან ფრჩხილის მომსახურების მოქმედი სპეციალისტები, რომელთაც არ აქვთ თეორიული ცოდნა და შესაბამისად კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. პროგრამის განხორციელების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მათ მიეცემათ საშუალება დაეუფლონ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს და აიღონ შესაბამისი კვალიფიკაციის დოკუმენტი.

კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 31 მაისის N42 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ მე-2, მე-3 და მე-7 მუხლების თანახმად კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (პროექტის) შემუშავება ხდება დარგობრივი კათედრების სხდომებზე დირექტორის მოადგილის უშუალო ხელმძღვანელობით და მტკიცდება დირექტორის მიერ გამოცემული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით. ასევე განსაზღვრულია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში / მოდულების ადაპტირებაში მონაწილეობას იღებენ: პროგრამების ხელმძღვანელები, ზოგადი მოდულების, ასევე შესაბამისი დარგის პროფესიული მასწავლებლები. მოცემულია პროგრამაში ცვლილებისა და პროგრამის გაუქმების წესი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროცედურის სრულყოფისათვის გადამწყვეტია თითოეული აქტივობის განხორციელებისათვის დადგენილი იყოს კონკრეტული ვადა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის ზოგიერთ მუხლში (მაგალითისათვის მუხლი 27.5) მითითებულია ჩანაწერი ***„გონივრული ვადა“*** რაც საჭიროებს მეტ დეტალიზაციას, რათა თავიდან იქნას არიდებული შემდგომში საკითხის ირგვლივ წამოჭრილი ორაზროვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში სასურველია მიეთითოს პროგრამის შემუშავების, დარგობრივი კათედრის სხდომაზე წარდგენის, პროგრამაში ცვლილების შეტანისათვის და ა.შ საჭირო კონკრეტული ვადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის დირექტორი 2021 წლის 19 ნოემბრის #124 ბრძანებით (პროგრამაში ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის #6 ბრძანებით) დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამის თანხმად განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო გეგმა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ შესაძლებელია პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სტანდარტთან.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი კოლეჯში მოქმედები სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლის 39-ე მუხლში გაწერილია კონტიგენტის განსაზღვრის ზოგადი მეთოდოლოგია. აღნიშნულზე დაყრდნობით დაწესებულების მიერ შემუშავებულ და ექსპერტებისათვის წარდგენილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ ფარგლებში სტუდენტთა მოთხოვნილი საერთო რაოდენობის დასაბუთება. დასაბუთების შესაბამისად კოლეჯის მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 24-ს. ექსპერტთა მიერ დასტურდება,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

რომ პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებულია სასწავლო გარემოს ფართი. პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 თვეს. ამ პროგრამისათვის გამოყოფილია სამი აუდიტორია: 1A , 1B და 1C გარემო. თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია 12 პროფესიულ სტუდენტზე. დაწესებულება მუშაობს შეჭრილი გრაფიკით. ერთ მიღებაზე გათვალისწინებულია ერთი ჯგუფის მიღება, ჯგუფში 12 პროფესიული სტუდენტით.

აღნიშნული ინდიკატორის შემოწმებისას ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს. კოლეჯს პრაქტიკული მოდულების განსახორციელებლად ხელშეკრულება აქვს გაფორმებული ინდ. მეწარმე ნათია ლომიძესთან (ხელშეკრულება N25, თარიღი: 16.11.2021) ვინაიდან პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული პროფესიულ სტუდენტთან ზღვრული რაოდენობა, რომლის გამტარუნარიანობაც ქონდა ობიექტს, ვიზიტისას ექსპერტთა მხრიდან დასმულ იქნა დამაზუსტებელი შეკითხვები. პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელმა გამოთქვა მზაობა, რომ უზრუნველყოფს 24 პროფესიული სტუდენტის მომსახურებას, ორ ცვლაში. ექსპერტთა მიერ დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ განმავითარებელი რეკომენდაცია პრაქტიკის ობიექტთან დადებულ ხელშეკრულებაში მიეთითოს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა მიერ შესწავლილ იქნა კოლეჯის განაცხადში მითითებული მატერიალური რესურსი, ასევე რესურსის გადამოწმება მოხდა ფიზიკურადაც. დარგის ექსპერტის დადასტურებით პროგრამაში/მოდულებში მითითებული რესურსი ადეკვატურია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. გადამოწმდა მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე დარგში არ არსებობს თეორიული სახელმძღვანელოები, რესურსში მითითებულია ვიდეო მასალა (youtube ლინკები). მითითებულ ლინკებზე მოცემულია მასტერკლასები, საუბარია ფრჩხილის დამუშავების სხვდასხვა მეთოდებზე და განხილულია ფრჩხილის მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები. გასაუბრებაზე პროგრამის ხელმძღვანელის მიერ დადასტურებულ იქნა, რომ თავად მოახდენს მოცემული ლინკებიდან რელევანტური ინფორმაციის ამოღებას და მიწოდებას პროფესიული სტუდენტებისათვის. რაც შეეხება საერთო პროფესიულ მოდულებს, ზოგად და არჩევით მოდულებს მათში მითითებული ლიტერატურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, განთავსებულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისათვის.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას. არჩევით მოდულებში კოლეჯს მითითებული აქვს დარგობრივი რუსული ენა. როგორც ვიზიტზე აღინიშნა დაწესებულების წარმომადგენლებისგან კოლეჯის ადგილმდებარეობის გათვალიწინებით, რუსული ენა ძალიან მოთხოვნადია არა მხოლოდ ამ პროფესიულ პროგრამაზე, არამედ ყველა მიმდინარე პროგრამაზე. რეგიონი დასახლებულია ეთნიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

უმცირესობებით, რომელთა საკომუნიკაციო ენა მეტწილად გახლავთ რუსული ენა. კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ აღინიშნა, რომ აქვთ მოლოდინი და მზაობა რომ პროფესიულ პროგრამაზე ბევრი რუსულენოვანი პროფესიული სტუდენტი მოინდომებს სწავლას. ასევე მათ მხრიდან გაჟღერდა, რომ ამ დარგში ბევრი რუსულენოვანი დამსაქმებელია რეგიონში. შესაბამისად, რუსული ენა ლოგიკურ და მჭიდრო კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან. დარგობრივი რუსული ენის კრედიტების საერთო მოცულობაა 4. დღეის მონაცემებით არჩევითი მოდულების მოცულობა არ აღემატება შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ განხილულია დარგობრივი კათედრის სხდომაზე და დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბრის #124 ბრძანებით (პროგრამაში ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის #6 ბრძანებით). აღნიშნული სრულად შეესაბამება კოლეჯში მოქმედი თანამდებობრივი ინსტრუქციის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 03 თებერვლის #5 ბრძანებით) მე-6 მუხლსა და საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-2 მუხლის 2.4. პუნქტის მოთხოვნებს.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ამ პროგრამის სახელწოდებაა „ფრჩხილის მომსახურება“, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში“. ვორდინგული თვალსაზრისით სახელწოდება განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციისგან, თუმცა არ არის შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზნები, მოცულობა, მისაღწევი სწავლის შედეგები პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლის მეთოდები და შეფასების მიმართულებები შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან. პროგრამის ხანგრძლივობა შედგენს 10 თვეს, პროგრამა ხორციელდება ქართულ ენაზე. კოლეჯში მოქმედ თანამდებობრივ ინსტრუქციებში განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა არ არის რაიმე ცალკე დოკუმენტით დამტკიცებული პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელს, რომელსაც ქონდა ზოგადი ცოდნა პრაქტიკის განხორციელების შესახებ, თუმცა განიცდიდა დეტალური ინფორმაციის ნაკლებობას კომპონენტის განხორციელების მიდგომების თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომების შექმნა, დამტკიცება და პრაქტიკის განმახორციელებელი პირებისათვის გაცნობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბრის #124 ბრძანებით (პროგრამაში ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის #6 ბრძანებით) დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #42 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- დირექტორის 2020 წლის 3 თებერვლის #5 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- პრაქტიკის ობიექტთან დადებული 2021 წლის 16 ნოემბრის N25 ხელშეკრულება;
- პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური რესურსი, ფაქტობრივი გარემოება;
- ვებ.გვერდი http://opizarivet.ge/;
- გასაუბრების შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.</u>

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის მიერ განაცხადში მითითებული სტუდენტების ზღვრული რაოდენობაა 24 სტუდენტი, ორ ცვლაში, ჯგუფში 12 სტუდენტი. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია. მატერიალური რესურსის შესყიდვის ხელშეკრულება და შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მიღება-ჩაბარების აქტი. ასევე, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „ფრჩხილის მომსახურება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B და C გარემო. აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია 1A , 1B და 1C. აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ყველა ინვენტარით, რაც საჭიროა 24 სტუდენტის გათვალიწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად. მათ შორის, აუდიტორიებში განთავსებულია 1 ცალი მასწავლებლის სამუშაო მაგიდა /სკამი, 1 სტუდენტის სამუშაო პრაქტიკული სამუშაო ადგილი (მაგიდა /სკამი), 1 დემონსტრირების ციფრული საშუალებები, 1 დაფა, 1 კომპიუტერი მასწავლებლისათვის, ნუნების მკვნეტარა, მაკრატელი და კნიპსერი, პუშერი, ჯაგრისი 5-5 ცალი ერთ აუდიტორიაში, სპეცტანსაცმელი (წინსაფარი) თითოეულ სტუდენტზე, ჯამში 12 ცალი, 1 სადეზინფექციო კონტეინერი, 2 ცალი ულტრაიისფერი კარადა (შილაკის საშრობი აპარატი), 1 ცალი სტერილიზატორი, 5-5 ცალი ხელის აბაზანა და ხელის მოსასვენებელი ბალიში, 2 ცალი ბორმანქანა, 5-5 ცალი ქლიბი, ქლიბი (ბაფიკი), გასაპრიალებელი, 1 ფეხის აბაზანა თავისივე სავარძლით, 100 ერთეული პირსახოცი და ა.შ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას. ესენია: პრაქტიკული პროექტი (ფრჩხილის მომსახურება) და საწარმოო პრაქტიკა (ფრჩხილის მომსახურება). პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ინდ. მეწარმე ნათია ლომიძესთან. ვიზიტის ფარგლებში ZOOM პლატფორმის საშუალებით ექსპერტები გაესაუბრნენ ქალბატონ ნათიას, მართალია ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული რა რაოდენობის სტუდენტთა მიღებას შეძლებდა ობიექტი, თუმცა პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლის მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ პრაქტიკის ობიექტი, მატერიალური რესურსის გათვალიწინებით, უზრუნველყოფს 24 სტუდენტის მომსახურებას ცვლებში, ცვლაში არაუმეტეს 6 სტუდენტის შემადგენლობით. ზემოხსენებულის თანხმად ექსპერტები თვლიან რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ მოიცავს 5 პროფესიულ მოდულს, აქედან 2 მათგანი გახლავთ პრაქტიკული კომპონენტი. ხუთივე მოდულის სწავლებას ახორციელებს ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ასევე არის პროგრამის ხელმძღვანელი. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას მასთან ერთად უზრუნველყოფს დამატებით ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც მოწვეულია პარტნიორი ორგანიზაციიდან. როგორც დოკუმენტურად, სასწავლო გეგმით, ასევე კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან გასაუბრებაზეც დადასტურდა, რომ არცერთი მათგანის საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 40 საათს. ვინაიდან დაწესებულებას არ აქვს ცალკე ორგანიზებული მასწავლებელთა დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტი ექსპერტებს მოუწიათ აღნიშნული ინფორმაციის მოძიება სასწავლო გეგმაში. ექსპერტთა მიერ აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია და განემარტა დაწესებულებას, რომ უმჯობესია ცალკე იქონიოს მასწავლებელთა დატვირთვის დოკუმენტი/ბადე, რათა თავად დაწესებულებისათვის და ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ნებისმიერი სხვა წარმოების ფარგლებში მარტივად იქნას მოძიებული ეს ინფორმაცია.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ პროგრამის კონცენტრაციის თეორიულ მოდულებს (სულ 3 მოდული) ახორციელებს ერთი პროფესიული მასწავლებელი, რომელიც ასევე გახლავთ პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისად იმისათვის, რომ მისი ადმინისტრაციული და წმინდა პედაგოგიური ფუნქციების შესრულებებისას არ შეიქმნას რაიმე შეფერხება ექსპერტთა მიერ ამ ინდიკატორის ფარგლებში გაიცა კიდევ ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ, ექსპერტებმა ურჩიეს დაწესებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

წარმომადგენლებს კიდევ დამატებით ერთ პროფესიულ მასწავლებელთან გააფორმონ ხელშეკრულება პროფესიული მოდულების განხორციელების მიზნით.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით გაწერილია პროფესიული მასწავლებლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შესწავლილ იქნა ექსპერტების მიერ. აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა კოლეჯში დასაქმებული პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. შესწავლილი პირადი საქმეების შესაბამისად პროგრამის განმახორციელებელ ყველა პროფესიულ მასწავლებელს (2 პროფესიული მასწავლებელი) უფიქსირდება შესაბამისი მოდულის ცოდნის კვალიფიკაცია მიღებული მრავალი სხვადასხვა სახის სერთიფიკატებით. ვიზიტის ფარგლებში მოხდა მათთან გასაუბრებაც. საუბრისას მათი მხრიდან გამოვლენილ იქნა დარგის ცოდნის თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება. შესაბამისად, მათ აქვთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების, სწავლებისა და შეფასების კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად პროგრამის ხელმძღვანელს ირჩევს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დარგობრივი კათედრის სხდომა. მიმდინარე წლის 21 იანვარს დარგობრივი კათედრის გადაწყვეტილებით შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელი. აღნიშნული დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნა ექსპერტებისათვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების გაესაუბრნენ პროგრამის ახალ ხელმძღვანელს. მასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აქვს დარგში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება, კარგად ფლობს დარგში მოქმედ თანამედროვე მიდგომებს. იგი თავადაც დარგის მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტია. დღეის მდგომარეობით მას არ უფიქსირდება პედაგოგიური განათლება და გამოცდილება, სწორედ ამიტომ მისივე მხრიდან დაფიქსირდა და კოლეჯის წარმომადგენელთა მიერ დადასტურდა, რომ მოკლე ვადაში იგი გაივლის პედაგოგიურ ტრენინგებს -კურსებს, რომელსაც თავადვე უზრუნველყოფს დაწესებულება. ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით, ან ელექტრონული (რაც ასევე გაწერილია მოდულებში) სახით. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა დარგის სპეციფიკიდან გამოდინარე სასწავლო რესურსი უმეტეს წილად არის ვიდეო მასალა, რომელიც განთავსებულია პორტალზე www.youtube.com ელექტრონული სახით სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულ ყველა კომპიუტერში. ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. რომელთა გამოყენებითაც პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ დისკებით ან ამობეჭდონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ელექტრონულად არსებული სასწავლო მასალა. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნულის თანახმად დაზუსტებით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა და სპეციალურ საჭიროებებზე მისადაგებული კოლეჯის სივრცისა და სერვისების შეთავაზება გაწერილია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 25-ე მუხლში. კერძოდ მოცემული რომ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). ამავე წესის 35-ე მუხლის შესაბამისად დადგენილია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ასისტენტის (საჭიროების შემთხვევაში), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირისა და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. დღეის მდგომარეობით კოლეჯში დასაქმებულია 2 ინკლუზიური განათლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

სპეციალისტი და 1 ასისტენტი. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს. ამასთან, ადგილზე ვიზიტისას ექსპერტებმა დააფიქსირეს, რომ კოლეჯის შენობა ადაპტირებულია. საგანმანათლებლო პროგრამის მარეგულირებელი წესის შესაბამისად კოლეჯი საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პირის განსხვავებული მოთხოვნები და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს სსსმ და შშმ პირებისთვის სწავლას, სწავლების შეფასების, სასწავლო ინსტრუქციების, საგანმანათლებლო რესურსების ადაპტაციას, სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, რათა პირი შეუფერხებლად იქნას ჩართული საგანმანათლებლო პროცესში.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურება“ ფინანსურად მდგრადია. იგი მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. ასევე, კოლეჯის საფინანსო სახსრების წყაროები დეტალურად მოცემულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებულ კოლეჯის წესდებაში. წესდების შესაბამისად კოლეჯის დაფინანსების წყაროებია: შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები; სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი; ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი; ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შემოსავლები და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. ბიუჯეტის შესაბამისად რენტაბელობის ზღვარი არის 5 სტუდენტი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №127/ნ ბრძანებით დამტკიცებულ კოლეჯის წესდება;
- დირექტორის 2021 წლის 19 ნოემბრის #124 (პროგრამაში ცვლილება განხორციელდა დირექტორის 2022 წლის 31 იანვრის #6 ბრძანებით) ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #42 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- დირექტორის 2020 წლის 3 თებერვლის #5 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- 2022 წლის 21 იანვრის დარგობრივი კათედრის სხდომის ოქმი N11;
- პრაქტიკის ობიექტთან დადებული 2021 წლის 16 ნოემბრის N25 ხელშეკრულება;
- პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესყიდვის #77 ხელშეკრულება დადებული 2021 წლის 7 დეკემბერს ინდ.მეწარმე მარიამ არაქელოვასთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- მატერიალური რესურსის მიღება-ჩაბარების აქტი (დათარიღებული 20.12.2021);
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.</u>

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

დაწესებულებას შემუშავებული და კოლეჯის დირექტორის მიერ 2020 წლის 6 მარტის #15 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“. ასევე საგანმანთლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის, პროგრამის გაუქმების, მობილობით გადასვლის მექანიზმის მარეგულირებელ ნორმებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ამ ორივე დოკუმენტის შესწავლის შედეგად უნდა ითქვას, რომ კოლეჯს დოკუმენტური რეგულირების დონეზე გაწერილი აქვს პროგრამის შეფასების მექანიზმები, თუმცა როგორც გასაუბრების შედეგად გამოვლინდა კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი გასული რამდენიმე თვის წინ დაავადდა კორონავირუსით (COVID 19) საკმაოდ მძიმედ რაც აისახა ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მის ჩართულობაზე. გარდა ხარისხის მართვის მენეჯერისა, კოლეჯს ასევე ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი. გასაუბრებაზე ხარისხის მენეჯერის მხრიდან დადასტურდა, რომ პროგრამების განვითარებისათვის კოლეჯი მუდმივად გამოხატავს მზაობას გაიზიაროს საუკეთესო ადგილობრივი ან/და საერთაშორისო პრაქტიკა, უახლესი კვლევის შედეგები, ჩაატაროს გამოკითხვები პოტენციურ დამსაქმებლებთან და ა.შ. ექსპერტები თვლიან, რომ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. თუმცა ამ ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტთა მოსაზრებით დაწესებულების შემდგომი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია წარმოებულ იქნას ინტერვიუს/გამოკითხვის შედეგები, კარგი იქნება მათი მხრიდან თუკი მოახდენს დაინტერესებული მხარეების წერილობითი გამოკითხვების შედეგების შეგროვებას. ექსპერტთა მიერ ინდიკატორის ფარგლებში გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რათა კოლეჯმა უზრუნველყოს პროგრამების შეფასების მექანიზმების დახვეწა, დაინტერესებული პირების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და ამ პროცესის ამსახველი მატერიალური თუ ელექტრონული მასალების წარმოება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. პსდ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-2, მე-3 და მე-7 მუხლების შესაბამისად დადგენილია სასწავლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი, პასუხისმგებელი პირები და პროცედურა. კოლეჯის მიერ კერძო სექტორთან მუდმივი თანამშრომლობისა და განხორციელებული მოკვლევის საფუძველზე მზადდება ინიციატივა კოლეჯში ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების და განხორციელების თაობაზე. განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამების ნუსხა ინფორმაციის სახით მიეწოდება კოლეჯში მოქმედ სამეთვალყურეო საბჭოს და განიხილება კოლეჯის დირექტორის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების დასაბუთების, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების არსებობის შემთხვევაში, მიიღება დადებითი გადაწყვეტილება პროგრამის მომზადებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა კოლეჯში ასევე მოქმედებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების მარეგულირებელი დოკუმენტი. რომელზე დაყრდნობითაც ხორციელდება ცვლილება საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში. დოკუმენტებში არსებობს ჩანაწერები, რომ დაწესებულების სამოქმედო გეგმაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების შეფასების მტკიცებულებები და განმახორციელებლები. ასევე აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება პროგრამების სასწავლო გეგმების საფუძველზე შემუშავებული კალენდარული გეგმების შესაბამისად, რომელთაც ითანხმებს ხარისხის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მიზნით ინერგება ახალი მექანიზმები, პარტნიორ დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა ახალი კითხვარი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ხორციელდება მისი დაჭესტვა. აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ისეთი აქტივობებით, როგორებიცაა სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ურთიერთდასწრების ორგანიზება და გამოცდილებათა გაზიარება, მეცადინეობის ანალიზი გაკვეთილზე დასწრების კითხვარის გამოყენებით, სამუშაო შეხვედრების ორგანიზება და სასწავლო პროცესის ხარისხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება; პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების, განსაკუთრებით წარმატებული სტუდენტების, კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობა და ა.შ. აღნიშნულია მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შემოწმება. აღნიშნული მიზნით კოლეჯი ახდენს სასწავლო კურსების/მოდულების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის რელევანტურობის შესწავლას, აანალიზებს პროფესიულ სტუდენტთა აკადემიურ შედეგებს, ახდენს პროფესიული მასწავლებლების შეფასებას პროფესიულ სტუდენტთა მიერ სპეციალური კითხვარის გამოყენებით და ა.შ. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასების ინსტრუმენტებით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და წარმოადგენს რეკომენდაციებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- 2020 წლის 6 მარტის #15 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #42 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.</u>

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

პროგრამის განსახორციელებლად საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დარგობრივი კათედრის მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმა. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა წინაპირობებიანი მოდულის შემთხვევაში ითვალისწინებს დროის შუალედს განმეორებითი შეფასებისათვის, რაც ეთანხმება დადგენილ წესს და ასევე კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტით განსაზღვრულ რეგულაციას. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. შესაბამისად, ცალსახაა, რომ პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

კოლეჯს ყავს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის ეფექტიანად ორგანიზებასა და მართვაზე პროფესიული სტუდენტების საჭიროების გათვალისწინებით. იგი ანგარიშვალდებულია კოლეჯის დირექტორისა და მოადგილის წინაშე. იგი უზრუნველყოფს თეორიული/პრაქტიკული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვას და ზედამხედველობას უწევს საგანმანათლებლო პროცესის გეგმის შესაბამისად განხორციელებას, უზრუნველყოფს კონსულტაციებს თეორიული/პრაქტიკული კურსის მასწავლებლებთან, უძღვება და აკონტროლებს მასწავლებელთა საქმიანობას ცალკეული სპეციალობების მიხედვით; უფლებამოსილია შეიმუშაოს და ხარისხის მართვის მენეჯერს წარუდგინოს დოკუმენტის პროექტი საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების ან/და ახალი საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ, პასუხისმგებელია ჩატარებული თეორიული და პრაქტიკული საათების აღრიცხვასა და ბუღალტერიაში მიწოდებაზე და ა.შ. ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის საგანმანათლებლო საქმიანობის პრინციპები და წესები უზრუნველყოფენ სამართლიანი, კონკურენტული, პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ექსპერტთა შეფასებით პროგრამის განხორციელება იგეგმება მოდულებში მითითებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, ისინი პერმანენტულად უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას. ახდენენ მათთვის სხვდასხვა სახის ტრენინგების შეთავაზებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

კოლეჯში მოქმედი სასწავლო პროცესის რეგულირების წესით განსაზღვრულია, სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად როგორც სსსმ და შშმ პირებისთვის, ასევე სტატუსშეჩერებული, სტატუსშეწყვეტილი, შიდა და გარე მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ინიცირება ხდება მაშინ, როდესაც წამოიჭრება ამის საჭიროება. წესის შესაბამისად ხარისხის მენეჯერის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის - ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობითა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

სიტუაციიდან გამომდინარე, ხარისხის მენეჯერი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს. ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა აქვს თავად პროფესიულ სტუდენტსაც. ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმების გათვალისწინებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას უზრუნველყოფილი იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

კოლეჯის მიერ 3 წლის ვადით გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ინდ. მეწარმე „ნათია ლომიძესთან.“ ხელშეკრულების მიზანია მხარეთა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების განვითარება, და შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური კვალიფიციური კადრების მომზადება. დოკუმენტის თანხმად მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომლებენ საგანმანათლებლო პროგრამა „ფრჩხილის მომსახურების“ სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და მოდულური პროგრამით გათვალიწინებული მიზნების მიღწევაში. დოკუმენტის თანახმად დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის 3 მოდულის (შეთანხმებაში ჩამოწერილია მოდულების დასახელებები) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი განხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით დარგის სპეციფიკის გათვალიწინებით გამოიყენება საქართველოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ შემუშავებული ნორმატიული ძალის მქონე დოკუმენტები (დადგენილებები). კერძოდ, „ტექნიკური რეგლამენტი – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილება, „სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №185 დადგენილება, და „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის და კონტროლისათვის მეთოდური რეკომენდაციებისა და კითხვარის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ოქტომბერის №21 დადგენილება. პროგრამის ხელმძღვანელის მიერ მითითებული იქნა და ექსპერტების წარედგინა ზემოთდასახელებული ნორმატიული აქტებიდან ის კონკრეტული მუხლები/პუნქტები, რომლებიც რელევანტურია მოდულების განხორციელებისას, თუმცა აღნიშნული მუხლები თავმოყრილი და ცალკე დოკუმენტად ორგანიზებული დღეის მდგომარეობით არ აქვს კოლეჯს. ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელს განემარტა და მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია უზრუნველყოფ საჭირო ნორმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

თავმოყრა ერთ დოკუმენტში, ასევე მისი ადაპტირება კანონის ენიდან კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის მეტად აღსაქმელ ენაზე და მისი დამტკიცება კოლეჯში მოქმედი პროცედურებისა და წესების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #42 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- დირექტორის 2020 წლის 3 თებერვლის #5 ბრძანებით დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- 2020 წლის 6 მარტის #15 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“,
- პრაქტიკის ობიექტთან დადებული 2021 წლის 16 ნოემბრის N25 ხელშეკრულება;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №473 დადგენილება;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 აპრილის №185 დადგენილება;
- ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 ოქტომბერის №21 დადგენილება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

<u>2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.</u>

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

კოლეჯის მიერ შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის 33-ე მუხლში მოცემულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი. ასევე კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის #44 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“. აღნიშნული წესი ფარავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება, პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი; შეფასების პროცესის/გამოცდის ჩატარება და შედეგების გაპროტესტება/აპელაცია; პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისის წარმოება და შიდა მონიტორინგი. აღნიშნული წესი ატვირთულია კოლეჯის ვებ.გვერდზე. ასევე ცალ-ცალკე განთავსებულია შეფასების თითოეული ინსტრუმენტის შესაბამისი ცხრილი/ფორმა. აღნიშნული დოკუმენტები სრულ შესაბამისობაშია არსებულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ობიექტურობას. მარეგულირებელი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ინსტრუმენტები, რომლებსაც გავლილი აქვთ ვალიდაცია, სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ შეტანილნი უნდა იქნას ვალიდირებული შეფასების ინსტრუმენტების რეესტრში და მათი გამოყენება შესაძლებელია პროგრამის არსებობის ვადით. ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენელთა მიერ ექსპერტებს განემარტა, რომ მიმდინარეობს რეესტრის წარმოება, აღნიშნული პროცესის დასრულება გააჭიანურა ხარისხის მენეჯერის კოვიდინფიცირებამ. თუმცა აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში დასრულებული იქნება აღნიშნული დოკუმენტის შექმნის პროცესი. შესაბამისად ექსპერტებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს განმავითარებელი რეკომენდაციის გაცემა ამ მიმართულებით.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის #44 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესის“. მე-4 მუხლი ითვალისწინებს და არეგულირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. კერძოდ განსაზღვრულია, რომ ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, ვერიფიკაციისას გამოიყენება ხარისხის მართვის მენეჯერი მიერ წინასწარ შემუშავებული ფორმები. ვერიფიკაციის მიზნით, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ განისაზღვრება ვერიფიკაციის განხორციელების განრიგი და ვერიფიკატორი ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფი, ვერიფიკაციის ჯგუფში სავალდებულოდ უნდა შედიოდეს იმ დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელი მიმართულების შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების ვერიფიკაციაც ხორციელდება. ექსპერტთა მიერ ამ ინდიკატორის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვერიფიკაციის მექანიზმის სრულყოფის მიზნით გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, კერძოდ სასურველია ვერიფიკაციის მექანიზმი დეტალურად არეგულირებდეს ვერიფიკაციის ისეთ ძირითადი ეტაპებს, როგორებიცაა: ვერიფიკაციის გეგმის შედგენა, ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა, განხილვის ორგანიზება, ფაქტობრივ გარემოებებზე შეთანხმება და ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა. ასევე გაიწეროს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესში მონაწილე თითოეული პირის პასუხისმგებლობები და მათი უფლება მოვალეობები. კოლეჯში დღეს მოქმედი ვერიფიკაციის მექანიზმი გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვა. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებები (ტესტები, პროექტები, პროდუქტის/შედეგის შეფასების ფურცელი, მასწავლებლის დაკვირვების ფორმები) დაწესებულებაში ინახება საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 3 წლის ვადით, ხოლო შეფასების უწყისები - ინახება უვადოდ.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

ექსპერტთა შეფასებით კოლეჯის მიერ შექმნილ ვერიფიკაციის შესაბამისად დაწესებულება განახორციელებს სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს გამოიყენებს პროგრამების შემდგომი განვითარებისთვის, რადგან ვერიფიკაციის ბოლო ეტაპი მიზნად ისახავს შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას, ასევე ყველა ხარვეზის კვალიფიკაციის მომდევნო შეფასებისთვის გამოსწორებას, რომელიც შიდა შემმოწმებლის (ვერიფიკატორის) მიერ იქნება გამოვლენილი. სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელიც მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს სტუდენტების გაგების/გააზრების დონე და შესაბამისად დაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია სტუდენტს თუ როგორ განავითაროს შედეგი და რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. ასევე, პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერთან ერთად ახდენს სტუდენტთა შედეგების გაცნობის საფუძველზე მათი საჭიროებების გამოვლენას, სწავლის შედეგების მიღწევის გზების გაუმჯობესებას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 22 ივლისის #44 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების წესი“,
- დირექტორის 2019 წლის 31 მაისის #42 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- 2020 წლის 6 მარტის #15 ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“
- გასაუბრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



PDF Eraser Free

დასაბუთება

.....
.....
.....
.....
.....

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07.02.2022
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: